



საქართველოს ენერგეტიკული სექტორი და სატრანზიტო ფუნქცია ავვისტოს რუსულ-ქართული სამხედრო კონფლიქტის შემდეგ

2008 წლის ოქტომბერი

მოკლე მიმოხილვა

2008 წლის ავისტოს რუსეთ-საქართველოს ომმა საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ სისტემას დიდი ზიანი მიაყენა, სამხედრო ინფრასტრუქტურის სრული ნგრევა გამოიწვია, პირდაპირი ინვესტიციების შემოდინება შეაფერხა და ქვეყნის როგორც უსაფრთხო და სტაბილური სატრანზიტო გზის სახელი მნიშვნელოვნად შეარყია¹. საერთაშორისო სარეიტინგო ინსტიტუტებმა საქართველოს და მისი ფინანსური სისტემის შეფასების რეიტინგები დასწიეს. Standard & Poors სუვერენული კრედიტის რეიტინგი „პოზიტიურიდან“ „სტაბილურადმდე“, ხოლო Fitch Rating-ის „საქართველოს გრძელვადიანი ადგილობრივი და სავალუტო რეიტინგი BB-დან B+ მდე დაიწია. Fitch Rating-მა დასწია საქართველოს ოთხი კომერციული ბანკის საკრედიტო რეიტინგებიც².

საქართველოს ენერგეტიკული სისტემა უშუალოდ სამხედრო მოქმედებების დროსაც განაგრძობდა შეუფერხებლად მუშაობას³. გამონაკლისი შემთხვევების გარდა, რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებული დაბომბვების დროს ენერგეტიკული ობიექტების დაზიანება და მოსახლეობისთვის ელექტროენერჯის და ბუნებრივი აირის მიწოდების წყვეტა არ მომხდარა⁴, თუმცა, დროებით იყო გაჩერებული რუსთავის ქიმიური კომბინატი „აზოტი“ და მეტალურგიული ქარხანა.

საქართველოს ენერგეტიკული სექტორის უდიდესი ნაწილი პივატიზირებულია და ძირითადად, რუსულ-ქართულ ბიზნეს ჯგუფებს ეკუთვნის (თელასი – თბილისის ელექტროდისტრიბუცია, მტკვარი-ენერჯი, იტერა – რეგიონების გაზით მომარაგება, მაღალი ძაბვის გადამცემი საზები-როს/გრუზენერგო). რუსულ-ქართულ ბიზნეს ჯგუფებზე ამ ობიექტების პრივატიზებას თავის დროზე საზოგადოება და ექსპერტები ეწინააღმდეგებოდნენ იმ მოტივით, რომ რუსული კაპიტალის მონაწილეობით დაფუძნებული ენერგეტიკული კომპანიები რუსული პოლიტიკის გამტარებლები იქნებოდნენ და კრიტიკულ მომენტებში ქვეყნის საზიანოდ იმოქმედებდნენ. ამ არგუმენტს საფუძველს ის ფაქტი უმაგრებდა, რომ, საზოგადოდ აღიარებული მოსაზრებით,

¹ გარდა იმისა, რომ საერთაშორისო სატრანზიტო მილსადენები კონფლიქტის დროს გაჩერებული იყო, სარკინიგზო გადაზიდვების ნაწილმა აზერბაიჯანიდან რუსეთის და ირანის მიმართულებით გადაინაცვალა.

² Oxford Analytica, September 10 2008.

³ კონფლიქტის დროს საქართველოს არ შეუწყვეტია რუსეთისათვის შეთანხმებით გათვალისწინებული 100 მილიონი კვ/სთ ელექტროენერჯის მიწოდება

⁴ ამჟამინდელი ვითარებისაგან სრულიად საპირისპიროდ 1994 წელს საქართველოს მხრიდან აფხაზეთის პრობლემის მოწესრიგების კრახით დამთავრებას თან ახლდა ენერგეტიკული ობიექტების სრული ნგრევა, ააფეთქეს ენგურჰესის დიდი ფარი, ცეცხლი გაუჩნდა და სრულიად განადგურდა გარდაბნის მეცხრე და მეთექვსმეტი ბლოკები.





რუსულ სივრცეში დამოუკიდებლად მოქმედი, მხოლოდ მოგებაზე ორიენტირებული ბიზნესი არ არსებობს და რომ რუსული ბიზნესი რუსული პოლიტიკის გამტარებელია, სადაც არ უნდა იყოს ის, რუსეთში, თუ მის ფარგლებს გარეთ.

პოტენციური საფრთხის მიუდევრად, სამხედრო კონფლიქტის დროს და მის შემდგომ რუსულ-ქართული ბიზნეს ჯგუფები ბიზნესის ჩარჩოებიდან არ გამოსულან და მოსახლეობის მიმართ ელექტროენერჯისა და გაზის მიწოდების მხრივ პრობლემები არ ყოფილა⁵. ასეთი პრობლემები რომ წამოჭრილიყო, საქართველოს მთავრობა ამ ბიზნეს ჯგუფების საქმიანობას, ბუნებრივია, უარყოფითად შეაფასებდა და შესაძლოა, ამას პრივატიზაციის შედეგების გადასინჯვაც მოჰყოლოდა. მათმა კორექტულმა მოქმედებამ მოვლენების ამ მიმართულებით განვითარებას ყოველგვარი საფუძველი გამოაცალა. უფრო მეტიც, კონფლიქტის დამთავრების შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ კონფლიქტის დროს ენერგოკომპანიებს საქმიანობას დადებითი შეფასება მისცა და გამოხატა ქვეყნის მზადყოფნა, განაგრძოს რუსეთიდან ინვესტიციების მიღება.

საქართველოს ენერგეტიკული სექტორი კონფლიქტის შემდეგ და ზამთრის დადგომამდე

ქართული საზოგადოების და ექსპერტების გარკვეული ნაწილის მოსაზრებით, რუსეთის მხრიდან ენერგეტიკული რესურსების მიწოდების შეზღუდვის საფრთხე მაინც არსებობს, განსაკუთრებით, ზამთარში. ამ მოსაზრების დასასაბუთებლად მათ 2006 წლის იანვრის ბოლო შემთხვევა მოჰყავთ, როცა რუსეთიდან შემომავალ ორივე გაზსადენზე აფეთქებები მოხდა და კავკასიონის 500 კილოვოლტიანი გადამცემი ხაზი დაზიანდა.

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის განცხადებით, ზამთარში ენერგორესურსებით ქვეყნის უზრუნველყოფის პრობლემა არ იქნება. როგორც მან თქვა, ყველა ზომა არის მიღებული იმისთვის, რომ მოსახლეობა ზამთარში ელექტროენერჯისა და გაზის გარეშე არ დარჩეს. გადამცემი ხაზები და ინფრასტრუქტურა წესრიგშია, სრულ მზადყოფნაშია გარდაბნის სახელმწიფო კუთვნილებაში მყოფი გაზზე მომუშავე ენერგობლოკები (ცივ და ცხელ რეჟიმებში). სრულად არის დერეგულირებული გაზის ბაზარი და მომხმარებელს შეუძლია გაზის იმპორტიორ რამდენიმე კომპანიას შორის არჩევანი გააკეთოს. მინისტრის განცხადებას ის რუსულ-ქართული, ქართულ-ყაზახური და ქართულ-ჩეხური კომპანიებიც ადასტურებენ, რომლებიც ქართულ ენერგობაზარზე პრივატიზების შემდეგ გაჩნდნენ.

ქვემოთ მოცემულია მოკლე ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაა ელექტროენერჯით და გაზით უზრუნველყოფის თვალსაზრისით კომპანიების მიხედვით და რა ძირითადი პრობლემები გაჩნდა რუსული სამხედრო აგრესიის შემდეგ ამ სფეროებში.

ელექტროენერჯეტიკა

თელასი საქართველოს ენერგეტიკულ ბაზარზე 2003 წელს მის მიერ ამერიკული კომპანია AES-სგან თელასში მისი კუთვნილი აქციების (75%) შესყიდვის შემდეგ იმყოფება. კომპანიის გენერალური დირექტორის იური პიმენოვის განცხადებით, კომპანიას კონფლიქტის დროს

⁵ ენერგეტიკული რესურსების მიწოდების წყვეტა მოსახლეობაში სოციალურ პროტესტს და შესაბამისად, ქაოსს გამოიწვევდა. 2





სახელმწიფოს მხრიდან არანაირი ზეწოლა არ განუცდი. კომპანია კმაყოფილია არსებული ბიზნესგარემოთი და ინვესტირებას ადრე შემუშავებული გრაფიკით განაგრძობს. მას ზამთრის პერიოდისთვის მოსამზადებელი ყველა ღონისძიება გატარებული აქვს: ელექტროენერჯის შესყიდვის შესახებ სამწლიანი კონტრაქტი გაფორმებული აქვს ენგურჰესთან, ხრამისა და ჟინვალის ჰიდროელექტროსადგურებთან და მტკვარი ენერჯისთან (რომელიც ასევე რუსულ სახელმწიფო კომპანიას, ინტერ-რაოს ეკუთვნის). ინტერ-რაოსთან აქვს ხელშეკრულება დადებული ზამთრის თვეებში 300 მილიონი კილოვატ/საათი ელექტრო ენერჯის შესყიდვის თაობაზე⁶.

ენერგო-პრო – ენერგო-პრო ჩეხური კომპანიაა, რომელიც საქართველოს ენერგეტიკულ ბაზარზე 2007 წლიდან შემოვიდა და ელექტროენერჯით საქართველოს რეგიონებს ამარაგებს. დისტრიბუციის გარდა, ამ კომპანიას 354 მეგავატის სიმძლავრის რამდენიმე ჰიდროელექტროსადგური ეკუთვნის. კომპანია თავისი მომხმარებლის მოთხოვნას მხოლოდ საკუთარი გენერაციით ვერ აკმაყოფილებს, ამიტომ დამატებით ელექტროენერჯის ისიც ენგურჰესიდან და სხვა ჰიდროელექტროსადგურებიდან შეისყიდის. ენერგო-პრო ერთადერთი ენერგოკომპანიაა, რომელმაც რუსული აგრესიის დროს 6 მილიონი აშშ დოლარის ზარალი განიცადა⁷. ენერგო-პროს, ისევე როგორც თელასს, უფლება აქვს მოახდინოს ელექტროენერჯის იმპორტი, თუმცა, თელასისგან განსხვავებით, ენერგო-პრო, იქიდან გამომდინარე, რომ რეგიონებს ამარაგებს, ელექტროენერჯის ცხინვალის რეგიონსაც აწვდიდა⁸. რუსული სამხედრო ნაწილების მიერ სამხრეთ ოსეთიდან ქართული მოსახლეობის გამოდევნის და რუსეთის მიერ მისი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების შემდეგ, სავარაუდოდ, ენერგო-პროს მიერ მისთვის ელექტროენერჯის მიყიდვის პირობებიც უნდა გადაისინჯოს.

ელექტროენერჯის ბაზრის საკითხის განხილვის დროს უნდა გამოიყოს **ენგურის ჰიდროელექტროსადგურის** საკითხიც. იგი საქართველოს მთავარი საბაზისო ჰიდროელექტროსადგურია და ნაწილობრივ აფხაზეთის და ნაწილობრივ დანარჩენი საქართველოს ტერიტორიაზე მდებარეობს. 1994 წელს, აფხაზეთის კონფლიქტის პირველი ფაზის დასრულების შემდეგ ენგურჰესის საკითხი აფხაზეთს და ქართულ მხარეებს შორის ორივე მხარისათვის მისაღებად გადაიჭრა. რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების შედეგად შესაძლოა, მოლაპარაკებების პირობები შეიცვალოს. გათვალისწინებული უნდა იქნას ისიც, რომ როგორც თელასს, ისე ენერგო-პროს ელექტროენერჯის შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებები სწორედ ენგურჰესთან აქვთ გაფორმებული. საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი ამ მხრივ რაიმე გართულებას გამორიცხავს და ამავე დროს აღნიშნავს, რომ საქართველოს ენერგეტიკულ ბაზარს მუშაობა ენგურჰესის გარეშეც შეუძლია.

საქართველოს გაზის ბაზარი

⁶ Black Sea Press, September 11 2008.

⁷ Caucasus Press, September 10 2008.

⁸ რუსეთის მხრიდან სამხრეთ ოსეთის მიმართულებით ელექტროგადამცემი ხაზის და გაზსადენის მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია. გაზსადენის მშენებლობა დაწყებულიც არის და სავარაუდოდ 2009 წლის ივნისში უნდა დასრულდეს.





ელექტროენერჯისაგან განსხვავებით, რომლის 70% საქართველოს ჰიდროელექტროსადგურებზე გამოიშვება⁹, საქართველოში მოხმარებული გაზის მთელი რაოდენობა იმპორტირებულია. 2007 წელს საქართველომ 1,750 მილიონი მ3 გაზი მოიხმარა, საიდანაც 60% რუსეთიდან იყო იმპორტირებული, დანარჩენი 40% -- აზერბაიჯანიდან. წელს სავარაუდოდ, ეს ბალანსი მხოლოდ უმნიშვნელოდ შეიცვლება აზერბაიჯანის სასარგებლოდ, ვინაიდან, წელს აზერბაიჯანი დღიურად 1,3 მილიონი მ3 ნაცვლად 1,5 მილიონ მ3 მოაწვდის საქართველოს¹⁰. შახ-დენიზის კონსორციუმიდანაც საქართველო დღიურად 1 მილიონ მ3 გაზს იღებს.

ამგვარად, საქართველო გაზს აზერბაიჯანიდან (500 მილიონი მ3) საერთაშორისო კონსორციუმიდან კონტრაქტით შეთანხმებული გრაფიკით მიიღებს (300 მილიონი მ3). გაზი სომხეთის ტრანზიტისათვის, რომელიც 2007-ში 200 მილიონი მ3 იყო, წელს (ნოემბერში ირან-სომხეთის მილის გახსნის შემდეგ, გამომდინარე იქიდან, თუ რამდენს შემოიტანს სომხეთი ირანიდან) შეიძლება შემცირდეს, ამიტომ გაზპრომის გაზის მიღება საქართველოს სრულად უზრუნველსაყოფად აუცილებელია.

შესაბამისად, თუ წელს საქართველოში გაზის მოხმარება იმავე დონეზე დარჩა (1,750 მილიონი მ3), რაც ადრე იყო, გამომდინარე იქიდან, თუ რამდენ გაზს მიიღებს საქართველო სომხეთის ტრანზიტისათვის, რუსულ-აზერბაიჯანული გაზის ბალანსი შეიძლება თანაბრად გადანაწილდეს, ან აზერბაიჯანის სასარგებლოდ შეიცვალოს.

სახელმწიფო პოლიტიკა - სრული დერეგულირება

2008 წლის აგვისტოში საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით გაზის ბაზრის სრული დერეგულირება მოხდა, რაც იმას ნიშნავს, რომ კერძო კომპანიებს უფლება მიეცათ, გაზი თავად იყიდონ და გაყიდონ იმ რაოდენობით და იმ ფასად, როგორც ამას მოახერხებენ.

დერეგულირებულ გაზის ბაზარზე რამდენიმე იმპორტიორი მოქმედებს, ესენია: საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია, ენერჯი ინვესტი, სოკარი - აზერბაიჯანის სახელმწიფო ენერჯო კომპანია (რომელმაც, 2008 წლის ზაფხულის ტენდერის შედეგების მიხედვით, უნდა უზრუნველყოს საქართველოს რეგიონების, გარდა კომპანია იტერას ქსელისა, მომარაგება), იტერა და საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაცია. მიუხედავად დიდი მოლოდინებისა, რომელიც თბილისის დისტრიბუციის ყაზახური კომპანიისთვის გადაცემას უძღოდა წინ, ყაზტრანსგაზს გაზი თავად ვერ შემოაქვს და თბილისის მოსახლეობისთვის საჭირო გაზს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციისგან ყიდულობს.

დერეგულირების მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლება, მოსახლეობის გაზით უზრუნველყოფის და არსებული ტარიფის შენარჩუნების მიზნით, საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას აზერბაიჯანის საერთაშორისო კონდსორციუმისგან გაზის ტრანზიტის საფასურად შექმნას და შეღავათიან ფასად მიღებული გაზის მოსახლეობისთვის მიყიდვაში ხელს უწყობს. ნავთობისა და გაზის კორპორაცია ამ გაზის მნიშვნელოვან ნაწილს ყაზტრანსგაზს თბილისში მოსახლეობის უზრუნველსაყოფად მიაწვდის.

⁹ მხოლოდ დანარჩენი, მაქსიმუმ 30%-ის გამოიშვება ხდება იმპორტირებულ გაზზე.

¹⁰ Trend Capital , Azerbaijani News Agency





რაც შეეხება რეგიონებს, 2008 წლის ზფხულის ტენდერის შემდეგ აზერბაიჯანის სახელმწიფო კომპანია **სოკარის** სახით საქართველოს გაზის ბაზარზე ახალი გაზის იმპორტიორი გამოჩნდა, რომელმაც რეგიონების 30 სადისტრიბუციო ქსელი შეიძინა და მაგისტრალური მილსადენების რეაბილიტაციისათვის 45 მილიონი აშშ დოლარიც გამოყო. მის სადისტრიბუციო ქსელში მოსახლეობის მოხმარება 45 მილიონ მ3 შეადგენს. კომპანია მოხმარების 250 მილიონ მ3 მდე გაზრდას აპირებს ¹¹, რასაც ის აზერბაიჯანიდან შემოტანილი საკუთარი გაზით უზრუნველყოფს.

თუ 2007 წლამდე რუსულ-ქართული კომპანია იტერა რეგიონებს გაზით მარტო უზრუნველყოფდა, 2008 წლის შემოდგომიდან მას კონკურენტი სოკარი გამოუჩნდა. 2007 წელს იტერამ რეგიონებში 260 მილიონი მ3 გაზის რეალიზაცია მოახდინა. ამ რაოდენობიდან უმეტესი წილი კომერციული ერთეულების მოხმარებაზე მოდიოდა. თუ სოკარი რეგიონების გაზით მომარაგებას უზრუნველყოფს (გარდა იტერას კუთვნილებაში მყოფი 12 სადისტრიბუციო ქსელისა) და მოსახლეობის მოხმარება მის მოქმედების არეალში 45 მილიონი მ3-ია, სავარაუდოდ, დანარჩენი 215 მილიონი მ3 იტერას 12 სადისტრიბუციო ქსელის და კომერციული ერთეულების მოხმარებაზე ნაწილდება. იტერა შეეცდება თავისი ბაზარი შეინარჩუნოს, ან იძულებული იქნება, ეს წილი ისევ სოკარს დაუთმოს, ვინაიდან ამ უკანასკნელს საკუთარი იაფი გაზის შემოტანა შეუძლია.

საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრი 2008 წლის აგვისტოს გადაწყვეტილებას გაზის ბაზრის სრული დერეგულირების შესახებ დადებითად აფასებს. მისი აზრით, დერეგულირება სხვადასხვა იმპორტიორებს შორის კონკურენციას განავითარებს, როგორც ეს იტერასა და სოკარის შემთხვევაში შეიძლება მოხდეს. მინისტრი ასევე დარწმუნებულია, რომ როგორც თბილისის, ისე რეგიონების მოსახლეობა, ზამთრის თვეებში გაზით უზრუნველყოფილი იქნება, ვინაიდან მათ გაზს, ერთის მხრივ, საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია (რომელიც აზერბაიჯანის საერთაშორისო კონსორციუმიდან მიღებული სახელმწიფოს წილი გაზის რეალიზაციას ახდენს) და მეორეს მხრივ, სოკარი მიაწვდის, რომელიც თავად არის აზერბაიჯანიდან საკუთარი გაზის შემომტანი.

რაც შეეხება მსხვილ კომერციულ ერთეულებს, მათ შეუძლიათ გაზი თავად შემოიტანონ, ან დანარჩენი იმპორტიორებისგან შეისყიდონ. მკვარად, სახელმწიფო თავისუფალია ვალდებულებისგან, რომ ბიზნეს-ჯგუფები გაზით უზრუნველყოს და ამ ამოცანის გადაჭრა მათზევე აქვს გადაბარებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველო-რუსეთის სამხედრო კონფლიქტის შემდგომ ზამთრის დადგომისათვის საქართველოს ენერჯეტიკული სექტორი მზად არის საქართველოს მოსახლეობა ელექტროენერჯით და გაზით სრულად უზრუნველყოს, თუმცა, გადასაჭრელი რჩება კონფლიქტის შემდგომ და რუსეთის მიერ კონფლიქტური რეგიონების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების შედეგად გაჩენილი ორი საკითხი, რომლებიც ენერჯეტიკის სამინისტროს კომპეტენციას სცილდება და მთელი მთავრობის გაერთიანებულ ძალისხმევას მოითხოვს, ესენია:

¹¹ Caucasus Press, September 18 2008





- ენგურჰესის საკითხი და¹²
- ცხინვალისათვის¹³ ელექტროენერჯის და გაზის მიწოდების პირობები ეთნიკური წმენდის შედეგად გამოძევებული ქართული მოსახლეობის დაბრუნებამდე¹⁴;

საქართველოს სატრანზიტო ფუნქცია კონფლიქტის შემდგომ

მოკლე წინასტორია: საქართველოს ჯერ კიდევ წინა ხელისუფლებამ ქვეყნის უსაფრთხოებისა და დასავლური განვითარების საფუძვლად დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის საქართველოს ტერიტორიის გავლით ენერგეტიკული და სხვა ტვირთების მოძრაობის ხელისშეწყობა მიიჩნია. იმ დროს როგორც ექსპერტული ჯგუფები, ისე სამთავრობო წრეები მიიჩნევდნენ, რომ ენერგეტიკული და სხვა სახის ტვირთების მწარმოებელი და მიმღები ქვეყნები სატრანზიტო ქვეყნის გრძელვადიან უსაფრთხოებაში სისხლხორცეულად იქნებოდნენ დაინტერესებული, რაც საქართველოს სტაბილური განვითარების წინაპირობას შეუქმნიდა. ბუნებრივია, ამგვარი გარემოება ტრანზიტის თვალსაზრისით კონკურენტული ქვეყნების მხრიდან საქართველოში დესტაბილიზაციის მცდელობას არ გამორიცხავდა. ამგვარი მცდელობები ქვეყნის განვითარების იმ ეტაპზე საქართველოს ხელისუფლების მიერ, სტრატეგიული პარტნიორების, ევროკავშირისა და აშშ-ს მხარდაჭერით, რამდენჯერმე აღიკვეთა¹⁵.

ზოგადად, ენერგორესურსების სატრანზიტო პროექტები მრავალწლიანი პროექტებია და დიდი რაოდენობით ინვესტიციებს მოითხოვს. შესაბამისად, ენერგორესურსების სატრანზიტო ქვეყანა უსაფრთხო და სტაბილური უნდა იყოს, რათა ენერგორესურსების მწარმოებელ და მის მომხმარებელ ქვეყნებს არ ჰქონდეთ იმის განცდა, რომ მათ რესურსებს შეიძლება რამე შეემთხვას¹⁶. ამასთან ერთად, აუცილებელია, რომ სატრანზიტო ქვეყნების პოლიტიკური ელიტა როგორც ერთმანეთს შორის, ისე რესურსების ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნების პოლიტიკური ელიტების მხრიდან მაღალი ნდობით სარგებლობდეს, მიუხედავად იმისა, თუ როგორი პოლიტიკური, თუ იდეოლოგიური მიმართულების მატარებლები არიან ეს ქვეყნები. ამგვარი ნდობის არსებობა საერთაშორისო სატრანზიტო პროექტებზე მოლაპარაკებების წარმოების საწყის ეტაპზე განსაკუთრებით მინიშნელოვანია.

დღეს მოქმედი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-თბილისი-ერზრუმის საერთაშორისო პროექტების განსახორციელებლად მწარმოებელი ქვეყანა (აზერბაიჯანი), სატრანზიტო ქვეყნები (საქართველო და თურქეთი) და მიმღები ქვეყნები (ევროკავშირი და აშშ) შეთანხმებულად

¹² ამჯამდ ენგურჰესის მიერ გაომუშავებული ელექტრო ენერჯია ნაწილდება 60/40 საქართველოსა და აფხაზეთს შორის. 2008 წლის ივლისის მონაცემებით ენგურჰესი გამოიმუშავებდა 8,065 მილიარდ კილოვატ/საათს, აქედან აფხაზეთის მოხმარება იყო 2,182 მილიარდი კილოვატ/საათი. www.esco.ge

¹³ სამხრეთ ოსეთი ელექტროენერჯიას და გაზს დანარჩენი საქართველოსგან იღებს გაზის წლიური მოხმარება 12 მილიონი მ3, ასევე მცირე ელექტროენერჯის მოხმარება. რუსული წყაროების მტკიცებით სამხრეთ ოსეთს კონფლიქტის შემდეგ არც ელექტროენერჯია არც გაზი არ მიეწოდება.

¹⁴ რუსეთის მხრიდან სამხრეთ ოსეთის მიმართულებით ელექტროგადამცემი ხაზის და გაზსადენის მშენებლობა დაწყებულია. გაზსადენის მშენებლობის დამთავრება ნავარუდევია 2009 წლის ივნისისათვის.

¹⁵ ტერორისტული აქტები სახელმწიფოს მეთაურის მიმართ (1995 და 1998), აფეთქებები ენერგეტიკულ ობიექტებზე და გადამცემ ხაზებზე (2000, 2002 და 2004)

¹⁶ მაგ. სირიამ ირან – ერაყის ომის დროს ირანის მხარე დაიკავა და მისი თხოვნით გადააკეტა ერაყის ნავთობსადენი, რომელიც მის ტერიტორიაზე გადიოდა. სირიის ამ ქმედებამ ბაზარზე ფასების უეცარი ზრდა გამოიწვია.





მუშაობდნენ. იმ პერიოდში რუსეთის მხრიდან დიდმა წინააღმდეგობამ, მხარეების პოლიტიკურ ელიტებს შორის (აზერბაიჯანი, საქართველო, თურქეთი) სრული თანხმობისა და ურთიერთნდობის გამო, ამ პროექტების განხორციელება ვერ შეაფერხა. ამ პროექტების განხორციელებას ხელი იმანაც შეუწყო, რომ რუსეთი იმ დროს ეკონომიკურად სუსტი სახელმწიფო იყო, რომელიც, საქართველოს მსგავსად, თავადაც ტერიტორიული დანაწევრების საფრთხის წინაშე იდგა. ამდენად, ის წინააღმდეგობას რეგიონში დასავლეთის აქტიურ ეკონომიკურ ექსპანსიას ვერ უწევდა.

2008 წლის აგვისტოს მოვლენები

2008 წლის აგვისტოს რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული სამხედრო მოქმედებების დროს არც ერთი საერთაშორისო მილსადენი (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი¹⁷, ბაქო-თბილისი-ერზრუმი¹⁸, ბაქო-სუფსა) და საქართველოს შიდა ენერგო ინფრასტრუქტურა არ დაზიანებულა (თუმცა, საერთაშორისო მილსადენების სიახლოვეს რამდენიმე საავიაციო ჭურვი ჩამოვარდა). სავარაუდოდ, რუსულ ავიაციას მილსადენების დაზიანების ბრძანება რომ ჰქონოდა, რამდენიმე დღიანი დაბობვების შედეგად ამას მოახერხებდა. შესაბამისად, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ რუსეთს მილსადენების დაზიანების განზრახვა არ ჰქონია. რამდენიმე ათეული ჭურვის ჩამოვარება მილსადენების მიმდებარე ტერიტორიაზე შეიძლება აღქმული იქნას როგორც გაფრთხილება ენერგორესურსების მწარმოებელი და მომხმარებელი ქვეყნების მიმართ, რომ:

- საქართველო არ არის უსაფთხო ქვეყანა რესურსების ტრანზიტისათვის;
- საქართველოზე გამავალი მილსადენების უსაფრთხოება დამოკიდებულია მის კეთილ ნებაზე;
- მხოლოდ სატელიტური მეთვალყურეობით მათი დაცვა შეუძლებელია;

რუსული სამხედრო აგრესიის დროის შერჩევა - საერთაშორისო ვითარება

რუსეთ-საქართველოს ომი შემდეგ მოვლენებს დაემთხვა:

საერთაშორისო ფინანსური-ეკონომიკური ასპექტი: დასავლეთში დაიწყო ინფლაციური პროცესები, რეცესია და ფინანსური კრიზისი, რომლის გადაჭრა და შედეგების ლოკალიზება მთელი განვითარებული სამყაროს ძალების კონცენტრაციას მოითხოვდა. ქართულ-რუსული კონფლიქტი ამ ყველაფერთან შედარებით ნაკლებ მნიშვნელოვანი იყო.

საერთაშორისო უსაფრთხოების ასპექტი: ავღანეთში და ერაყში მიმდინარე პროცესების გამო სტაბილიზაციის მიღწევა რუსეთის თანამშრომლობის გარეშე ვერ ხერხდება. რუსეთის როლი ძალზე მინიშნელოვანია ირანისა და ზოგადად, ახლო აღმოსავლეთში პოლიტიკის შემუშავების პროცესში.

¹⁷ რუსული ავიაციის მხრიდან წარმოებული დაბობვების დროს ბაქო/თბილისი/ჯეიჰანის ნავთობსადენი გაჩერებული იყო 2008 წლის 5 აგვისტოს თურქეთის ტერიტორიაზე მილსადენზე მომხდარი ხანძრის გამო.

¹⁸ 25 აგვისტოსათვის ორივე მილსადენი ამოქმედდა, ბაქო/სუფსის მილსადენი დღემდე გაჩერებულია.





საერთაშორისო ენერგეტიული ბაზარი: საერთაშორისო ენერგეტიკულ ბაზარზე არსებული მაღალი ფასები განვითარებულ ქვეყნებში ინფლაციურ პროცესებს განაპირობებს. რუსეთი ნავთობის ნომერ პირველი ექსპორტიორია (10 მილიონი ბარელი დღეში). რუსეთივე უზრუნველყოფს ევროკავშირის გაზის მოხმარების 25%-ს და იმპორტის 40%-ს (წლიურად 130 მილიარდი მ3). ამ ციფრებთან შედარებით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (800 ათასი ბარელი დღეში) და ბაქო-თბილისი-ერზრუმის (6 მილიარდი მ3) შესაძლებლობები მოკრძალებულია. საერთაშორისო ბაზარზე რუსული ნავთობისა და გაზის ჩანაცვლება ძალიან რთულია, ვინაიდან ენერგორესურსების დანარჩენ მწარმოებელ ქვეყნებში ზეწარმოების პოტენციალი არ არის. რუსეთს ნავთობისა და გაზის მიწოდების შემცირებით შეუძლია საერთაშორისო ბაზარზე ფასების უკონტროლო აგდება გამოიწვიოს, რასაც განვითარებულ ქვეყნებში ინფლაციური და რეცესიური პროცესების გაღრმავება მოყვება.

აშშ: მიმდინარეობს წინასაარჩევნო პროცესის ბოლო ფაზა. პოლიტიკური ელიტა შიდა პროცესებით არის დაკავებული. წარმატალ ადმინისტრაციას არ შეუძლია გადაწყვეტი ნაბიჯები საპრეზიდენტო კანდიდატებთან შეთანხმების გარეშე გადადგას, რათა პოლიტიკური პასუხისმგებლობის გაზიარების წყვეტა არ მოხდეს.

რეგიონული მდგომარეობა - სტრატეგიული ჯაჭვი აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთი

სამხრეთკავკასიური სატრანზიტო ენერგეტიკული პროექტების ამოქმედების შემდეგ ჰეიდარ ალიევის, შევარდნაძისა და დემირელის სტრატეგიული პარტნიორობა აღარ არსებობს. აშშ-ს მიერ ერაყში სამხედრო კამპანიის დაწყების შემდეგ **თურქეთის** და რუსეთის ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა (განსაკუთრებით, შავი ზღვის აუზში უსაფრთხოების საკითხებზე).

აზერბაიჯანი რუსეთთან, აშშ-სთან და ირანთან დაბალანსებულ პოლიტიკას ატარებს. საქართველო-რუსეთის კონფლიქტის დროს აზერბაიჯანმა ნავთობის ტვირთები ბაქო-ნოვოროსიისკის მილსადენზე გადაამისამართა, რომლის ოპერატორობასაც მას რუსეთი სთავაზობს. აზერბაიჯანული ნავთობის ტვირთების ნაწილი რკინიგზით ირანის მიმართულებით წავიდა.

აზერბაიჯან-რუსეთის ურთიერთობაში ახალი ასპექტები გაჩნდა აზერბაიჯანული გაზის მხრივაც. რუსული კომპანია გაზპრომი დაინტერესებულია აზერბაიჯანის მიერ წარმოებული მთელი გაზი საბაზრო ფასებში შეისყიდოს. ამის თაობაზე 2008 წლის ივნისში დაწყებული მოლაპარაკებები ჯერ არ დასრულებულა. აზერბაიჯანსა და საერთაშორისო კონსორციუმს შორის არსებული პროდუქციის განაწილების შესახებ შეთანხმებით, შახ-დენიზის პროექტში აზერბაიჯანის სახელმწიფო წილი 80%-ია, დანარჩენი 20% საერთაშორისო კონსორციუმს ეკუთვნის. სწორედ ამ გაზის შესყიდვა სურს გაზპრომს. რუსეთ-აზერბაიჯანს შორის გაზის შესყიდვაზე შეთანხმება ჯერ თუ არ მომხდარა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ასეთი შეთანხმება მომავალში არ შედგება. დღეს რუსეთს მიეცა საბაბი აზერბაიჯანს უმტკიცოს, რომ საქართველოზე გამავალი გზა უსაფრთხო არ არის. იგი აზერბაიჯანს გაზის ევროპაში გატანის ალტერნატიულ გზას თავისი ტერიტორიის გავლით სთავაზობს.

აზერბაიჯანიც დაინტერესებულია მეტი სიფრთხილე გამოიჩინოს და თავისი გაზის ევროკავშირში ტრანსპორტირების ალტერნატიული გზა ეძებოს. თუ გაზპრომი მისაღებ პირობებს შესთავაზებს, ის, სავარაუდოდ, დადებითი გადაწყვეტილება მიიღებს. იგი,





როგორც მწარმოებელი, ისევე დაინტერესებული ტრანსპორტირების ალტერნატიული გზებით, როგორც მომხმარებელი ქვეყნები არიან დაინტერესებული რესურსების მიღების ალტერნატიული წყაროებით.

საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა რეგიონში რუსეთის საწინააღმდეგო კოალიციის ლიდერობას თავის თავზე იღებს¹⁹, რითაც კასპიისპირეთისა და ევროკავშირის პოლიტიკური ელიტის შეშფოთებას იწვევს, რაც სრულიად გასაგებია, რადგან სატრანზიტო ქვეყნის მიერ რეგიონის უდიდესი სახელმწიფოს გამოწვევა სამხრეთ კავკასიაზე გამავალ სატრანზიტო გზებს საფრთხეს უქმნის.

ყაზახეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი: აღმოსავლეთ კასპიისპირეთის ეს ქვეყნები რუსეთის სტრატეგიული პარტნიორები არიან როგორც დსთ-ში, ისე კოლექტიური უსაფრთხოებისა და შანხაის ორგანიზაციაში. მათი ნავთობისა და გაზის საექსპორტო გზები რუსეთზე გადის და რუსეთთან მიღწეული შეთანხმებებით კმაყოფილები არიან. გარდა ამისა, ნავთობის ტრანსპორტირებისათვის ალტერნატიული სატრანზიტო გზა კონტინენტური ჩინეთის²⁰ და ირანის მიმართულებებით²¹ მათ უკვე განვითარებული აქვთ. შენდება გაზსადენებიც²².

ამდენად, აღმოსავლეთ კასპიისპირეთის ქვეყნების საექსპორტო გზები დივერსიფიცირებულია და მათთვის დასავლეთის საექსპორტო მიმართულება სასიცოცხლოდ მინიშვნელოვანი არ არის (იმდენად მაინც, რომ სტრატეგიულ პარტნიორს, რუსეთს დაუპირისპირდნენ).

ყაზახეთი, ამავე დროს, საქართველოში ერთ-ერთი უმსხვილესი ინვესტორია. ბოლო დროს განვითარებული მოლენების გამო რამდენიმე მსხვილი საინვესტიციო პროექტის განხორციელებაზე მან უკვე უარი განაცხადა (ბათუმში ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა და მარცვლეულის ტერმინალი). ყაზახეთის პარლემენტმა 2008 წლის ივნისში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით წლიურად 20 მილიონი ტონა ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. ჯერჯერობით, ყაზახურ მხარეს ეს გადაწყვეტილება არ შეუცვლია.

ევროკავშირი და ნაბუქოს პროექტი

თურქეთის გავლით ევროკავშირის მიმართულებით რამდენიმე გაზსადენის პროექტი არსებობს. მათ შორის, აშშ-ს მხრიდან განსაკუთრებული მხარდაჭერით ნაბუქოს გაზსადენის პროექტი სარგებლობს, რომელიც თურქეთში იწყება, საბერძნეთში გადადის და იქიდან, აღმოსავლეთ ევროპის გავლით, ავსტრიისაკენ მიემართება. პროექტის მიზანი აღმოსავლეთ ევროპის

¹⁹ ენერჯეტიკაში ეს ოდესა-ბროდის ნავთობსადენის პრომოტირებაში აისახება, რომლის მიზანიც რუსული ნავთობისათვის აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ბაზრის წილის წართმევაა.

²⁰ იგულისხმება არტასუ-ალაშონკოუს გზა, რომლის წლიური გამტარობა 30 მილიონ ტონამდე შეიძლება გაიზარდოს. ყაზახეთი რუსულ კომპანიებს სთავაზობს, ეს გზა რუსული ნავთობის ჩინეთისკენ ტრანსპორტირებისათვის გამოიყენონ, ვინაიდან მათ ამ მიმართულებაზე ჯერ მილსადენი არა აქვთ.

²¹ ირანის მიმართულებით ტრანსპორტირება საზღვაო ტანკერებით ირანის პორტ ნეკამდე ხდება, რომლის წლიური გამტარობაც 12 მილიონი ტონაა. ტვირთების გატანა რკინიგზითაც წარმოებს.

²² ჩინეთ-თურქმენეთს შორის მიღწეული შეთანხმება თურქმენეთის გაზის საბადო იოლატანიდან ჩინეთამდე 30 მილიარდი მ3 გაზსადენის მშენებლობას ითვალისწინებს. თურქმენეთს ირანთან წლიური 10 მილიარდი მ3 გამტარობის გაზსადენიც აკავშირებს, რომელიც კიდევ შეიძლება გაიზარდოს.





ქვეყნების გაზით მომარაგების²³ დივერსიფიცირებაა. ნაბუქოში წილის 50% ამ ქვეყნების სადისტრიბუციო კომპანიებს ეკუთვნით (Botash, Bulgargaz, Mol, OMV Gas, RWE AG, Transgas²⁴), დანარჩენი 50% გაზის მწარმოებელი ქვეყნებისათვის ან საერთაშორისო კომპანიებისთვის არის გამიზნული. ამ მილსადენის გაზით უზრუნველყოფაში ერთ-ერთი მთავარი მოთამაშე შეიძლება აზერბაიჯანი იყოს.

თუ აზერბაიჯანსა და რუსეთს შორის გაზის შესყიდვის შესახებ შეთანხმება მოხდება, ნაბუქოს პროექტის მთავარი დამტვირთავი აზერბაიჯანი ვეღარ გახდება. ეს ვალდებულება შახ-დენიზის საერთაშორისო კონსორციუმსა (ბაქო-თბილისი-ერზრუმის მილსადენს) დაეკისრება. როგორც აზერბაიჯანული მხარის, ისე კონსორციუმის აზრით, ასეთ შემთხვევაში ბაქო-თბილისი-ერზრუმის მილსადენის სრული დატვირთვით ამუშავება შახ-დენიზის მეორე ფაზის ამოქმედების შემდეგაც გაძნელებულია. მოვლენების ამგვარად განვითარების შემთხვევაში, საუკეთესო გამოსავალი ტრანსკასპიური გაზსადენის აშენება იქნება, თუმცა ამას სერიოზულად აფერხებს ის, რომ კასპიის ზღვის სტატუსი ჯერჯერობით ისევ გადაუწყვეტილია. საქართველოს მიერ ბაქო-თბილისი-ერზრუმიდან მაქსიმალური მოგების მიღება კი, მხოლოდ მისი სრული დატვირთვით იქნება შესაძლებელი.

ნაბუქოს გაზსადენი შეიძლება მაინც დაიტვირთოს ირანული, ერაყული და ეგვიპტიდან მომავალი გასადენებით, რომელთა ნაწილი უკვე არსებობს (ირანი-თურქეთი), დაპროექტებაშია (ერაყი-თურქეთი), ან გადაწყვეტილება არის მიღებული (ეგვიპტე-თურქეთი).

რუსულ-ქართული კონფლიქტის ფონზე გაძლიერდა რუსეთის და ირანის სატრანზიტო მიმართულება. სწორედ ამ მიმართულებებზე გადანაწილდა აზერბაიჯანის და ყაზახეთის ნავთობის ტვირთები. აზერბაიჯანული გაზის შესყიდვის შესახებ რუსეთ-აზერბაიჯანის მოლაპარაკებები ჯერ დამთავრებული არ არის. მხარეები თითქოს უკვე შეთანხმდნენ გაზის გაცვლაზე. კერძოდ, აზერბაიჯანი რუსეთს გაზს დაღესტანში მიაწვდის, სამაგიეროდ, რუსეთი აზერბაიჯანს გაზს მიაწვდის სოკარის მიერ თურქეთში შესყიდული ქიმკომბინატის Petkim-ის უზრუნველსაყოფად, სადაც ამ უკანასკნელს 51% ეკუთვნის. მგვარად, ამ გადაწყვეტილებით აზერბაიჯან-რუსეთის დამაკავშირებელი გაზსადენი, რომელიც 2007 წლამდე რუსულ გაზს აწვდიდა აზერბაიჯანს, რევერსულად ამუშავდება²⁵.

ირანის სტრანზიტო მიმართულება, ირან-დასავლეთს შორის ურთიერთობების მოწესრიგების შემთხვევაში, კიდევ უფრო გაძლიერდება. თურქმენეთიდან ირანში 10 მილიარდი მ3 წლიური გამტარობის გაზსადენი უკვე შედის. შესაძლოა, მისი გამტარობის უფრო გაიზარდოს, ან იგივე ტრასაზე ახალი უფრო დიდი გამტარობის გაზსადენი იქნას გაყვანილი. თურქმენეთის გაზის გარკვეული რაოდენობის ირანი-თურქეთის დამაკავშირებელი გაზსადენის საშუალებით გატანის შემთხვევაში თავიდან იქნებოდა აცილებული კასპიის ზღვის სტატუსის გადაჭრის საკითხი, რაც ტრანსკასპიური გაზსადენის აშენებას დღემდე აფერხებს.

ირანი სატრანზიტო მიმართულების გასაძლიერებლად აქტიურად მუშაობს. ირანის ენერჯეტიკის მინისტრის მოადგილის აქბარ ტოკანის განცხადებით, ის თურქეთის გავლით გაზსადენის აშენებას აპირებს, რომელიც, სავარაუდოდ, 4 მილიარდი აშშ დოლარი დაჯდება

²³ ამ ქვეყნებს გაზით ამარაგებს რუსეთი, მათ გაზის სხვა წყარო არ გააჩნიათ.

²⁴ ესენი არიან ევროპული მასშტაბის სადისტრიბუციო კომპანიები მოქმედი თურქეთში, ბულგარეთში, უნგრეთში, ავსტრიაში, გერმანიაში, რუმინეთში

²⁵ და მხოლოდ დროსა და ვითარებაზე იქნება დამოკიდებული რა დატვირთვით იმუშავებს.





და საბერძნეთი-იტალია-შვეიცარიის მიმართულებით წლიურად 37 მილიარდ მ3 გაზს გაატარებს. ირანული გაზი აღმოსავლეთ ევროპის ბაზარზე არ შევა და რუსულ გაზს კონკურენციას არ შეუქმნის. მას სულ სხვა მომხმარებლები ეყოლება დასავლეთ ევროპაში. აქბარ ტოკანის განცხადებით, ირანის მხარეს უკვე დასრულებული აქვს მოლაპარაკება ერთ ევროპულ კომპანიასთან, რომელიც პოტენციურად ამ გაზსადენის ოპერატორი უნდა გახდეს²⁶.

დასკვნა

რუსეთ-საქართველოს კონფლიქტმა ცხადყო, რომ რეგიონში რუსეთის, როგორც გეოპოლიტიკური მოთამაშის აქტივები აშკარად გაიზარდა²⁷. გაიზარდა მისი გავლენაც სატრანზიტო გადაწყვეტილებებზე. ირანის გარდა რუსეთმა სტრატეგიული ურთიერთობების განვითარება თურქეთთანაც მოახერხა და თურქეთსა და სომხეთს შორის შუამავლობა, ურთიერთობების მოწესრიგების მიზნით, თავის თავზე აიღო. თურქეთ-სომხეთის დაახლოების პროცესი იმდენად სწრაფად წავიდა, რომ აბდულა გულის სომხეთში ვიზიტიდან დაახლოებით თვენახევრის შემდეგ მიღებული იქნა გადაწყვეტილება სომხეთიდან თურქეთში ელექტროენერჯის ექსპორტის შესახებ.

რუსეთმა შესაძლოა მთიანი ყარაბაღის მოწესრიგების პროცესშიც ითამაშოს დადებითი როლი, რაც რეგიონში მის გეოპოლიტიკურ გავლენას კიდევ უფრო გაზრდის. შესაბამისად, გაიზარდება მისი როლი სატრანზიტო პროექტებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესზეც.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არარელევანტურია მტკიცება იმის შესახებ, რომ სამხრეთ კავკასიურ საერთაშორისო პროექტებზე აღმოსავლეთ კასპიისპირეთის რესურსების (ყაზახური ნავთობი და თურქმენული გაზი) მიბმა ისევე რეალურად განხორციელებადია, როგორც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და ბაქო-თბილისი-ერზრუმის პროექტები, რომ რუსეთი ამ პროექტებსაც ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ მათი განხორციელება მაინც მოხერხდა. საკითხის ამგვარად დასმის დროს უნდა იქნას გათვალისწინებული ის ფაქტი, რომ უკვე არსებულ სატრანზიტო პროექტებზე მუშაობის დროს რეგიონში²⁸, საერთაშორისო ენერგეტიკულ ბაზარზე²⁹, ევროკავშირსა და აშშ-ში სულ სხვა ვითარება იყო, კერძოდ:

- რუსეთი იყო პოლიტიკურად, ეკონომიკურად და ფინანსურად დასუსტებული სახელმწიფო, რომელიც კასპიისპირეთის ქვეყნებს ვერანაირ ალტერნატივას ვერ სთავაზობდა;
- კასპიისპირეთის ქვეყნებს ჩინეთისა და ირანის მიმართულებით რესურსების ალტერნატიული ტრანსპორტირების საშუალება არ ჰქონდათ და კონკურენცია სატრანზიტო მიმართულებებზე არ იყო;
- შეიქმნა აზერბაიჯან-საქართველო-თურქეთის სტრატეგიული ჯაჭვი, რომელიც უნისონში მუშაობდა აშშ ადმინისტრაციასთან.

²⁶ Bulletin de l'Industrie Petrolier, Septembre 26, 2008

²⁷ ახალ რეალობაში რუსეთი თურქეთ-სომხეთის და პოტენციურად, აზერბაიჯან-სომხეთის ურთიერთობების მოწესრიგებაში შუამავლად გამოდის.

²⁸ კასპიისპირეთის ქვეყნები დასავლეთთან თანამშრომლობიკენ თავადვე ისწრაფოდნენ.

²⁹ საერთაშორისო ენერგეტიკულ ბაზარზე ნავთობსა და გაზზე ფასები ძალზე დაბალი იყო. 1 ბარელ ნავთობზე ფასი 10-18 აშშ დოლარის ფარგლებში, რუსული გაზის ფასი ევროპის ბაზარზე 1000 მ3-ზე მაქსიმუმ 120-150 აშშ დოლარი იყო.





ამჟამად:

- დიდი კონკურენციაა სატრანზიტო გზებზე და სამხრეთ კავკასიური მიმართულება ექსკლუზიური აღარ არის;
- რუსეთმა კასპიისპირეთის ქვეყნებთან (მათ შორის აზერბაიჯანთან და თურქეთთან) ურთიერთობის ენა გამოძებნა და მათ მისაღებ წინადადებებს სთვაზობს;
- სამხრეთ კავკასიის სატრანზიტო ინფრასტრუქტურის უსაფრთხოება რუსეთის კეთილ ნებაზე აღმოჩნდა დამოკიდებული. რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნების თვალსაზრისით რუსეთის როლი გაიზარდა;
- დასავლეთი ღრმა ფინანსურ ეკონომიკურ კრიზისს განიცდის, რომლის დაძლევაც დიდ საერთაშორისო ძალისხმევას მოითხოვს, რუსეთთან თანამშრომლობის ჩათვლით,
- რუსეთის როლი საერთაშორისო ენერგეტიკულ ბაზარზე ფასების დარეგულირების თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია.

სასურველი იქნებოდა, საქართველოს ხელისუფლებას რუსეთთან ურთიერთობების წარმოების დროს, შეცვლილი საერთაშორისო და რეგიონული გეოპოლიტიკური კონტექსტი და საერთაშორისო ენერგეტიკულ ბაზარზე არსებული ვითარება გაეთვალისწინებინა.

თუ საქართველოს ხელისუფლებას სურს, ქვეყანამ აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი სატრანზიტო ფუნქცია შეინარჩუნოს, მან სასწრაფოდ უნდა გადადგას ნაბიჯები ქვეყანაში შიდა პოლიტიკური და რეგიონული სტაბილურობის აღსადგენად, რუსეთთან პირდაპირი მოლაპარაკებები აწარმოოს (რამდენად მძიმეც არ უნდა იყოს ეს)³⁰ და მიღებულ შედეგზე პასუხისმგებობა თავის თავზე აიღოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებული საერთაშორისო პროექტები სრული დატვირთვით ვერ ამუშავდება, ახალი სატრანზიტო პროექტების განხორციელებაზე კი ლაპარაკიც აღარ იქნება.

ლიანა ჯერვალიძე, ექსპერტი ენერგეტიკის საკითხებში

³⁰ თუ ევროკავშირის პატრონაჟით წარმოებული მოლაპარაკებები რუსეთთან წარუმატებელი იქნება (საქართველო ტერიტორიების ვერ დაიბრუნებს, რუსეთი სამხედრო ბაზებს განალაგებს ცხინვალსა და აფხაზეთში, საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის პროცესი წინ არ წავა), შესაძლოა, ქვეყანაში პოლიტიკური ვექტორი შეიცვალოს.

